სს „საქართველოს რკინიგზის“

განაცხადი ინტერესთა გამოხატვის შესახებ

სს “საქართველოს რკინგზა” აცხადებს ინტერესთა გამოხატვას 45 ერთეული ელმავლის შესყიდვის (ნივთის მოწონების პირობით - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 520-ე მუხლი) მიზნით, ერთი ერთეულის **საორიენტაციო** ფასი შეადგენს 10 500 000 ლარს დღგ-ს გარეშე.

დაინტერესებულმა პირებმა (პრეტენდენტებმა) უნდა წარმოადგინონ ტექნიკური დავალების (დანართი 1) შესაბამისად მომზადებული შემოთავაზება, აგრეთვე დამატებითი პირობები (ელმავლის ეფექტურობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების; ელმავლის ფასის; პროექტის ფინანსური მხარდაჭერის და სესხის გადახდის პირობების; ლოკალიზაციის პირობის (ნაწილობრივ ან სრულად ადგილობრივი წარმოების მითითებით) **2015 წლის 28 დეკემბრის 18:00 სთ-მდე,** დალუქულ კონვერტებში საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაციულ შენობაში (თამარ მეფის 15, 0112, თბილისი, საქართველო).

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მათთვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ ნომინირებული საკონტაქტო პირებისაგან. ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია სს „საქართველოს რკინიგზის“ ვებ-გვერდზე – www.railway.ge და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონული სისტემის ვებ-გვერდზე: www.spa.ge

გამოქვეყნებული ინტერესთა გამოხატვის გამოცხადება არ ავალდებულებს სს “საქართველოს რკინიგზას” გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება პერტენდენტ(ებ)თან, არ აძლევს პრეტენდენტებს სს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ ნებისმიერი სახის პრეტენზიის და რაიმე ქმედების განხორციელების უფლებას. საქართველოს რკინიგზა იტოვებს უფლებას საკუთარი მოსაზრებით ნებისმიერ მომენტში შეწყვიტოს ან შეცვალოს პროცედურა, გამორიცხოს ნებისმიერი მხარე პროცედურიდან ან უარი თქვას გამოხატულ ინტერესებზე ყველანაირი ვალდებულებების გარეშე.

სს “საქართველოს რკინიგზა

საკონტაქტო პირები:

სახელი:	კორელი ალექსი	ტალახაძე მამუკა	ფერაძე თეიმურაზი
ქვედანაყოფი:	ტექნიკური	ფინანსური	შესყიდვები
ტელ:	+995 32 219 99 02	+995 32 219 89 19	+995 32 219 90 09
E-mail:	Alexsi.koreli@railway.ge	Mamuka.talakhadze@railway.ge	Teimuraz.peradze@railway.ge

შენიშვნა: საუკეთესო შემოთავაზების გამოვლენისათვის, სს „საქართველოს რკინიგზა“ ხელმძღვანელობს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებების ღირებულების შეფასების მთავარი კრიტერიუმით: ელმავლების მოვლა-შენახვის (მ.შ. რემონტები) და საექსპლოატაციო ხარჯებში დანაზოგების და შემოთავაზებული სესხის (სესხის ძირი; პროცენტი) პირობების გათვალისწინებით, სს „საქართველოს რკინიგზის“ ფულადი ნაკადების წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) დისკონტირების წლიური განაკვეთით 10 %.

პროექტის მოკლე აღწერა

ამჟამად სს „საქართველოს რკინიგზა“ საკუთრების უფლებით ფლობს 111 ელმავალს, ძირითადად VL 10 და VL 11 ტიპის. რომლებიც ტექნიკური პარამეტრებისა და მდგომარეობის გათვალისწინებით მოძველებულია და შესაბამისად სალოკომოტივო პარკი საჭიროებს განახლებას/მოდერნიზებას.

საქართველოში იგეგმება ანაკლიის ღრმა წლის პორტის მშენებლობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ჩვენს სატრანზიტო კორიდორში დამატებითი ტვირთების მოზიდვა. ასევე, მიმდინარეობს მოლაპარაკებები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, თურქეთში და სხვა მეზობელ სახელმწიფოებში მოქმედ სხვადასხვა სატრანსპორტო კომპანიებთან საქართველოს სარკინიგზო კორიდორის მაქსიმალური ათვისების მიზნით.

2019 წლისათვის სს „საქართველოს რკინიგზა“ ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროსთან გაფორმებული სამშენებლო პროექტის ფარგლებში (FIDIC Yellow Book) გეგმავს ხაშური-ზესტაფონის საუღელტეხილო მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის დასრულებას. აღნიშნული პროექტი უზრუნველყოფს საქართველოს მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის გამტარუნარიოანობის გაზრდას, ასევე უსაფრთოხების თანამედროვე სისტემების დანერგვას.

სს „საქართველოს რკინიგზა“ დაინტერესებულია, რომ ქვეყანაში არსებობდეს კვალიფიციური კადრები რომლებიც, საკუთარი უნარ-ჩვევების ამაღლების/შეძენის პირობებში შეძლებენ ახალი ლოკომოტივების ტექნიკურ მომსახურებას. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე ან კაპიტალური სარემონტო სამუშაოების საწარმოებლად ქვეყანაში არსებობდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა (ქარხნის, დეპოს ჩათვლით).

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სს „საქართველოს რკინიგზა“ ახორციელებს 2 მხსვილ საინვესტიციო პროექტს (თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი და მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტი) მნიშვნელოვანია სალოკომოტივო პარკის განახლების პროექტის ფინანსური მხარდაჭერა/გარანტირება, რაც გულისხმობს პროექტის საერთო ღირებულების არანაკლებ 85 %-ის დასაფინანსებლად, სს „საქართველოს რკინიგზისათვის“ მისაღების პირობებით, სასესხო ვალდებულების მოზიდვას.

სალოკომოტივო პარკის განახლების პროექტის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებითი პირობები

წინამდებარე ინტერესთა გამოხატვა ცხადდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 520-ე მუხლის პირობით **(ნასყიდობა ნივთის მოწონების პირობით)** რაც გულისხმობს შემდეგს:

ელმავლის „ტექნიკური დავალება“ მოცემულია წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის დანართ №1-ში.

პრეტენდენტი ვალდებულია, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 თვის განმავლობაში მიაწოდოს სს „საქართველოს რკინიგზას“ „ტექნიკური დავალების“ შესაბამისად დამზადებული ერთი ერთეული ელმავალი, რაზედაც მხარეები აფორმებენ მიღება-გადაცემის აქტს.

მიღება-გადაცემის აქტის გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში სს „საქართველოს რკინიგზა“ განახორციელებს მოწოდებული ელმავლის ექსპლუატაციას, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საქონლის/ნივთის არ დაწუნების შემთხვევაში, პრეტენდენტი ვალდებულია სს „საქართველოს რკინიგზას“, მომდევნო 7 წლის განმავლობაში, მიაწოდოს დანარჩენი 44 ელმავალი, მაგრამ წლის განმავლობაში არანაკლებ 5 და არაუმეტეს 7 ერთეულისა, რაზედაც ფორმდება დამატებითი შეთანხმება.

საქონლის/ნივთის დაწუნების შემთხვევაში მხარეები მოვალენი არიან დაუბრუნონ ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს.

სს „საქართველოს რკინიგზა“ უფლებამოსილია საქონლის/ნივთის მოწონების შემთხვევაშიც კი, შესაბამისი დამატებითი შეთანხმების გაფორმებამდე, შეწყვიტოს შესყიდვა.

ლოკალიზაციის (ადგილობრივი წარმოების) პირობა

საქონლის მოწონების შემთხვევაში დანარჩენი 44 ერთეული ელმავლის მოწოდება უნდა განხორციელდეს საქართველოში მისი ნაწილობრივი (ან სრული) წარმოების პირობით:
ნაწილობრივი წარმოების შემთხვევაში:

- ელმავლის წარმოებისათვის საჭირო თვითღირებულების არანაკლებ 50 %-ის ხარჯი გაწეულ უნდა იქნას საქართველოში;
- აღნიშნული ხარჯის დადასტურება უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის N360 დადგენილებით გათვალისწინებულმა ერთ-ერთმა აუდიტორულმა კომპანიამ, რომლის ხარჯებსაც გაიღებს პრეტენდენტი.

პროექტის ფინანსური მხარდაჭერა

პრეტენდენტი ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის ფინანსური მხარდაჭერისათვის საჭირო ღონისძიება, რაც გულისხმობს შემდეგს:

წარმოადგინოს საბანკო დაწესებულების (შემდგომში - ბანკი) მიერ გაცემული განცხადება (სასურველია დანართი №2-ის შესაბამისად), რომლის მიხედვითაც ბანკი იღებს ვალდებულებას გამოუყოს სს „საქართველოს რკინიგზას“ მრავალწლიანი (არანაკლებ 10 წელი) საკრედიტო ხაზი, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 6%-ს და რომლის უზრუნველსაყოფადაც შესაძლოა მხოლოდ გამოყენებულ იქნას დამზადებულ ელმავლებზე გირავნობის უფლება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-285[1] მუხლების შესაბამისად).

საკრედიტო ხელშეკრულება შესაბამისობაში უნდა იყოს სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გამოშვებული ევრო-ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული „ნეგატიური გირაოს“ ვალდებულებასთან, რომლის მიხედვითაც, მანამ, სანამ ევროობლიგაციები გამოშვებულია სს „საქართველოს რკინიგზა“ ვალდებულია არ შექმნას ან წარმოშვას და უზრუნველყოს, რომ მისი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანი(ებ)ი არ შექმნიან ან წარმოშობენ ნებისმიერი სახის გირავნობას, გადასახდელს, გირაოს, ყადაღას ან სხვა სახის უფლებრივ ტვირთს ან უზრუნველყოფის საშუალებას მის ყველა ან ნებისმიერ, დღეისათვის არსებულ ან სამომავლო ვალდებულებაზე, აქტივებზე ან შემოსავლებზე, ნებისმიერი ვალდებულების/დავალიანების უზრუნველყოფად, (გარდა „ნებადართული უზრუნველყოფის საშუალებისა“, რაც მოიცავს ისეთ უზრუნველყოფის საშუალებას, რომელიც გამიზნულია აქტივების შეძენისათვის ფინანსური რესურსების მოზიდვისათვის და რომელიც ითვალისწინებს ასეთი ფინანსური რესურსებით შესაძენი აქტივების უფლებრივად დატვირთვას) გარდა იმ შემთხვევისა თუ, იმავდროულად ან მანამდე, სს „საქართველოს რკინიგზის“ ვალდებულებები ევროობლიგაციების ფარგლებში: (i) უზრუნველყოფილი იქნება თანაბრად და იგივე ხარისხით ან ისარგებლებს არსებითად იგივე პირობების მქონე უზრუნველყოფით, ან (ii) ასეთი უზრუნველყოფა, გარანტია ან სხვა უზრუნველყოფის საშუალება/ღონისძიება, შეთანხმებული იქნება ევროობლიგაციების მფლობელთა „განსაკუთრებული გადაწყვეტილებით“.

შესაბამის სასესხო ვალდებულებაზე თანხმობის აღებას უზრუნველყოფს სს „საქართველოს რკინიგზა“.

ბანკის სუვერენული საკრედიტო რეიტინგი უნდა იყოს მინიმუმ **A** კატეგორიის, დადასტურებული Fitch Ratings, Standard & poors ან Moody’s-დან ერთ-ერთი სარეიტინგო კომპანიის მიერ მაინც.

დანართი №2

ბანკის განცხადება

სს [ბანკი][ვაცხადებთ, რომ გაცნობილი ვართ 2015 წლის 8 დეკემბრერს სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვის ტექსტს/პირობებს და პრეტენდენტთან [----------] ელმავლის შესყიდვის (ნივთის მოწონების პირობით) შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების და სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ საქონლის/ნივთის მოწონების შემთხვევაში (დამატებითი შეთანხმების გაფორმება), ბანკი გამოთქვამს მზადყოფნას, განიხილოს სს „საქართველოს რკინიგზის“ საკრედიტო ხაზის გამოყოფის საკითხი, შემდეგი არსებითი პირობების გათვალისწინებით:

კრედიტის ოდენობა - არანაკლებ [---------- დოლარი];

კრედიტის მოქმედების ვადა - კრედიტის გაცემიდან არანაკლებ 10 წელი;

წლიური სარგებელი - არაუმეტეს წლიური 6.00 %-სა;

კრედიტის უზრუნველყოფა - შესაბამისი ხელშეკრულების ფარგლებში დამზადებულ ელმავლებზე გირავნობის უფლება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-285[1] მუხლების შესაბამისად;

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ბანკის წინამდებარე განცხადება წარმოადგენს მხოლოდ განზრახულობის გამოხატვას და მასზე ხელმოწერა არ წარმოშობს ბანკის მიმართ რაიმე ვალდებულებას, მათ შორის და არა მხოლოდ: რომ მან სს “საქართველოს რკინიგზასთან” გააფორმოს შესაბამისი სესხის ხელშეკრულება, შესაბამისად არც ერთ მხარეს არ აძლევს ბანკის მიმართ ნებისმიერი სახის პრეტენზიის და რაიმე ქმედების განხორციელების უფლებას.

ხელმოწერა